

განმარტებითი ბარათი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შექმნისა და ამოქმედებისათვის 2009 წლის 1 იანვრით განსაზღვრული ვადის ერთი თვით გადაწვევის აუცილებლობამ. რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ახლად შექმნილი უწყების ფუნქციონირებისთვის სრულფასოვანი პირობების შექმნის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გატარების საჭიროებით. კანონპროექტის მომზადება ასევე განაპირობა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალოს 2009 წლის პირველ მარტამდე საქართველოს კანონის პროექტის მომზადება, საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის გამართული კონსულტაციების მიმდინარე კონსულტაციების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შესვლისა და მოცემული სამინისტროს დასახელების შეცვლის შესახებ. აღნიშნულ სამინისტროს უნდა ეწოდოს „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონის პროექტი მიზნად ისახავს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის ამოქმედების ვადის გადაწვევას, იმავედროულად კანონპროექტის მიღების მიზანია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ის მუხლები, რომლებშიც მითითებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ეალიბდება ახალი რედაქციით და იცვლება სამინისტროს დასახელება, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის

გ.ვ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.